საქართ. შემარცხენელ სოც.-დემოკრატიულ ნაციონალისტთა პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ადილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 221

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, მაისის 21

1922 წ.

საქართველოს ცოცხალი არქივი

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ეროვნულ კულტურას ახასიათებს და სხვა ერთა კულტურისაგან განსხვავებს მისი ფართე ხალხოსნური ხასიათი. უკანასკნელი დროის ჩვენი კულტურა არ არის ლრმა, როგორც იყო ეს უწინ, შოთას დროს, მაგრამ რაც არის,—გავრცელებულია ხალხში და ის არ შეადგენს მარტო ერთი წოდების ან კლასის ავლა-დიდებას. საქართველო კულტურულად, განვითარების საფეხურებით არ არის ორად გაყოფილი, როგორც ეს იყო, თუ გინდ რუსეთში. სადაც „მჭეკი“ და არისტოკრატი ისეთი უცხო იყვნენ ერთიმეორისათვის, რომ ერთმანეთის ენა არც კი ესმოდათ კარგად. რუსული კულტურა დაშორებული იყო ხალხისაგან,—ჩვენი კულტურა კი ხალხოსნურია. ქართველი ერი კულტურულად უფრო მთლიან ერთეულს წარმოადგენს, ვინემ რომელიმე სხვა ერი. ეს შესაფერ დაღს ასვამს ჩვენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას,

ამ საკვირველი მოვლენის ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქართველ ერს თავის ისტორიულ წარსულში ძალიან ხშირად უხდებოდა ქუდზედ კაცის გამოყვანა. ე. ი. საქართველო ისეთ პირობებში იყო, რომ მისი მოვლა-პატრონობა არ შეეძლო ერთ წოდებას, ერის ნაწილს. აუცილებელი ხდებოდა მთელი ერის აქტიური ამოძრავება და საერთო საქმის საერთო ძალებით კეთება.

ქართულ კულტურას ჰყავს თავისი პიონერები, გმირები, გენიოსები, მოწამენი და ჭიანჭველები. მათ შორის ზაქარია ჭიჭინაძეს ფრიად დიდი და სპეციალური ადგილი უჭირავს. ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია საქართველო უზაქარიოდ და ზაქარია უსაქართველოდ... ის ყველას იცნობს ჩვენში, ყველაზედ მოეპოვება რაიმე ცნობა, რისაც თქვენ ვერსად ვერ იპოვით, თუ არა ზაქარია ჭიჭინაძესთან. ის ნამდვილი ცოცხალი, მოსიარულე არქივი, სადაც დაგროვილა ბევრი ძვირფასი მასალა ქართველი ერის ცხოვრებიდან.

ვინ ჩამოსთვლის რამდენი რამ დაუწერია და გამოუცია ზაქარიას. მის მიერ დაბეჭდილ წიგნებიდან მთელი გამოფენაა მოწყობილი საუბილეოდ. ძვირფასი ჯერ მეტი ხელნაწერებად არის ჯერ; ვერ მოუხერხებია გამოცემა.

ზაქარიას მთელი საქართველო მოვლილი აქვს თავის ფეხით. მას ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში საკუთარი ხელგით მიუტანია ქართული წიგნები და გაუვრცელებია ის.

რამდენი გაპირვება და უპატიურება გადაუტანია ზაქარიას და რისთვის? მხოლოდ იმისათვის, რომ ქართველი მდაბიო ხალხი, მუშებში და გლეხებში, ცოდნა კულტურა გავრცელებია სრულიად უანგაროდ. სად არ ყოფილა ზაქარია, ვის არ გაუგონია მისი სახელი? მთელი საქართველო იცნობს მას.

დაუფასებელია ზაქარიას დვაწლი ქართული წიგნხობრობის გავრცელებაში ჩვენი ეროვნული კულტურის დაცვაში და მის ხალხოსნური ხასიათის შენარჩუნებაში.

მის ამდენ ღვაწლს, ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუდალავ და შეუსვენებელ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოდ, რასაკვირველია არ დაივიწყებს მაშრომელი საქართველო. ის დღეს 50 წლის იუბილეს უმართავს ზაქარია ჭიჭინაძეს. მოსალოდნელია, რომ ჩვენი ცოცუპატრიოტები აქაც ისე მოიქცნენ, როგორც გფ. ბესხის იუბილეზედ, მაგრამ მშრომელი საქართველო შესძლებს პატივი სცეს მის უანგარო მოამაგეს. ჩვენც მათთან ერთად ვესალმებით დღევანდელ იუბილიარს და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას.

ომეგა.

ზაქარიას იუბილე

ერთგვარი წესია ჩვენი საზოგადოებისათვის: იუბილიარის შესახებ ან ხოტბის ცოცხალი კონა უნდა შეკმნა, ან და პირში ენა ჩაიგუბო და თვენიერი გაჩუმდე მელები და ტურები რომ ქვეყანას აყრუებდნენ.

ზაქარია ჭიჭინაძეს შესახებ ძალიან ძნელია გაჩუმება. ეს, რასაკვირველია, იოტის ოდნავ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ზაქარიას გვინდა ქებათა ქება მიუძღვნად. ზაქარია არავის ქებას არ საჭიროებს და მით უფრო ჩვენისთანა მოწაფეების.

ერთი თვისება გვინდა აღვსახოთ. ზაქარიას შავი თვალები, პატარა, მაგრამ ჯიდასავით დაკუმშულ სხეულში მოქცეული განუსაზღვრელი მისწრაფება სიცოცხლისა, მოძრაობისა, ბრძოლისა იმდენად იპყრობს მთელ ქართველ ხალხს, რომ ჩვენ არ გვეგულება არც ერთი მომენტი შორეული მომავალისა, როცა მოაზროვნე თაობას შეეძლოს ზაქარიას გვერდი აუაროს, მისი თვალები, გონება, აზრი, მოქმედება არ გაიხადოს ცხოვრების კვლევის საგნად.

ზაქარია საოცარია იმ მხრივ, რომ არ დარჩენილა ჩვენი ცხოვრების შესახებ არც ერთი დარგი, მოვლენა, მას რომ ყურადღება არ მიექციოს და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია—ხსენებულ ფაქტების შესახებ სასარგებლო და საყურადღებო შეხედულება არ გამოეთქვას.

ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობა, საზღვრები, ზოგადი ზნე - ჩვეულება, კუთხოსრივი და მოდგმობრივი აღწერა, სარწმუნოება, ხალხის მოძრაობა, წარსული, აწმყო, გენეალოგია, ეროვნების წესი, მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა, ნაოსნობა, ხელოსნობა, მიწის მფლობელობა, მიწის სარგებლობა, სოციალურ ელემენტები, კვლევა-ძიება, გლეხების პრობლემა, პროლეტარების, ვაჭრების, დახასიათება ძველი უცხოეთის და ქართველი მწერლების, ხვა და სხვა საბუნებისმეტყველო და სოციალური სისტემის შესანიშნავ პიროვნებათა ცხოვრების აღწერა, როგორც შავრაზმელთა ისე რევოლიუციონერთა, მაგრამ რაც კიდევ უფრო აღსანიშნავია საქართველოს ისტორიულ წარსულში თავის აზროვნების გადატანა და გამოქვეყნება უამრავი ახალ ისტორიული მასალების ცნობების, სიგელ-გუჯრების, დოკუმენტების, ხელთნაწერების, რომელთა აღწერა აღგმატება ჩვენს ძალ-ღონეს... ზაქარიას ესპარეზია.

არც ერთს ადამიანს არ შეუძლია საქართველოს ცნობიერების გზაზე გაიაროს და ზაქარიას არ შეეხოს. როგორც ფუტკარი, ზაქარიას დაუზოგველად მოაქვს ყოველ დარგისათვის ტკბილი, მარგალელი, შესახიშნავი ძასალა. ზაქარია ჭიჭინაძე ჩვენი ისტორიის ნამდვილი ფეოდკარია. რომელმაც არაფერი არ იცის ერსებულ მდგომარეობის, გარდა იმისა რომ ის ხუშაობს საქართველოსათვის და დანარჩენი კი ფეხებზე კიდია შენი პარტიული ეიხიანობა და აყალ-მაყალი

იმ დიდ პოლიტიკურ რღვევა-ტეხას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში და მსოფლიოში, ზაქარია მხოლოდ ბუზდუნით გასცემს პასუხს. ის არ ერევა არც ერთ პარტიობას, რომელსაც ის უფრო კინკლაობად ნათლავს და საკითხებს უფრო იხილავს პატრიოტიზმის მიხედვით. პატრიოტიზმის საფუძველი კი თავისი ერისათვის სასარგებლო მუშაობის გაგრძელებაა და მართლაც, ზაქარია არ ემორჩილება არც ერთს რეჟიმს, არც ერთ წრეს, არც ერთ მოვლენას, მან მხოლოდ ერთი იცის—ქართველი ხალხისათვის სამსახური, ჰშიან თუ წყურიან, სიცივეა თუ სხვა. ზაქარია ზის თავის საფუტკროში და მუშაობს.

თავის მუშაობისათვის მან არაფერი იცის სხვა და სხვა მიმართულების. ის ერთგვარად თანამშრომლობს ყოველ გაზეთში, ყოველ კრებულში, ყოველ ჟურნალში. მან მხოლოდ ქართული ენა იცის, იგი უყვარს, მასზე სწერს, მისით აშუქებს და გვასწავლის ჩვენს წარსულს და მომავალს.

მე არ ვიცი თუ ვინმე მოიპოვება ჩვენში ისეთი ერთგული დარაჯი ჩვენი კულტურისა, როგორც ზაქარია. ჩვენი ახალი თაობა თავისი ქონებრივი თუ პოლიტიკური აზრებისათვის მილიონჯერ დასწყევლის საქართველოს, იმდენჯერ შეიყვარებს, ხოლო ყოველ მის არსებას სარგებლობის სასყორზე აკიდებს და მას მაშინ მოაშორდება, როცა მის არსებას საფრთხე მოელის, მაშინ ბობრძანდება, როცა ტახტზე ასვლის საშუალება ეძნება. ზაქარია არ არის ასეთი ტიპის ადამიანი. ის ზის თავის „სახელოსნოში“ და სჭედს თავის სიტყვას, ყოველ დღე ახალს აწვდის ქართულ კულტურას და მის ისტორიას.



ზაქარია ჭიჭინაძე

ჩვენ არ ძალგვიძს ზაქარია სავსებით დავახასიათოთ. ამისათვის მთელი მონოგრაფიაა საჭირო. განსაკუთრებითი პიროვნებაა იგი: ზაქარიას არ მიუღია სისტემატიური კლასიური განათლება, ის უფრო მწერალი—ხელოსანია, მისკალამის წვერში მუდამ ჩანს არქაიზმი, ძველი, ზოგადი, ყველაფერი, მიკიბულ-მოკიბული, მაგრამ მიუხედავად სისუსტისა, როგორ მწერლისა, ის საამო საკითხვია, გზა და გზა გვაწვდის მუდამ უამრავ მასალას, რაც გბიბლავს და გაკმაყოფილებს.

ზაქარია ჭიჭინაძე საარაკო მაზროვნობის კაცია, მეხსიერებით უბადლო; ეს დიდი წყაროა ჩვენი ისტორიისათვის. ამავე დროს ალეთივე ენერგიის.

ჩვენო ზაქარია! იცოცხლე მრავალჟამიერ, დღეს მხოლოდ ერთი პატარა მორწმენა, როცა ქართველს სურს მადლობა გითხრას. შენს დაფასებას ღირსეულად ისევ მომავალი თაობა თუ შესძლებს.

თედო ღლონტი

ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე

იმდენად ნაოფიერია ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობა ქართველი ერის საკეთილდღეოდ, იმდენად მდიდარი და მიმზიდველია მისი ცხოვრება, რომ ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია პატარა შენიშვნაში მოვათავსოთ სრული აღწერა ამ თავდადებული მამულიშვილის ცხოვრებისა. ამიტომ ჩვენი მიზანი შემოვფარგლეთ და გვინდა ქართული კულტურის ამ ცოცხალ მატიანიდან ზოგიერთი ცნობები მივაწოდოთ მკითხველს.

ზაქარია ჭიჭინაძე დაიბადა 1854 წ. 8 თებერვალს ტფილისში. მისი მამა ეგნატე ღარიბი ხელოსანი იყო (ხურო) და ოჯახს თუმცა მას შრომის მოყვარეობაში ბევრი ვერ შეეჯიბრებოდა. ძლივს ძლივობით არჩენდა, დედაც გამრჯელი იყო და ამასთანავე ძველი კარამადინების მცოდნე მკურნალი ქალიც.

ამით აიხსნება, რომ ულარიბესმა მშობლებმა ფრიად დიდი შრომა გასწიეს იმისათვის, რომ ზაქარია უსწავლელი არ დარჩენილიყო. 7 წლის პატარა ზაქრო მისცეს შეგირდად ქვაშვეთის ეკლესიის სამრევლო სკოლაში. შემდეგ იგი მშობლებმა გადაიყვანეს მთაწმიდის სამრევლო სკოლაში, სადაც ზაქრომ ნიჭი და სწავლის მოყვარეობა გამოიჩინა. მაგრამ ისე, როგორც თითქმის უმრავლესობას ქართველი დარიბი ოჯახის შვილებისას ბედმა უშუალოდ და სრულიად უმიზეზოდ დაეხოვნილ იქნა. ასეთივე ბედი მას ერეკლე ბატონიშვილის სკოლაში, სადაც ის მშობლებმა პირველი მარცხის შემდეგ შეიყვანეს. ჩვენთვის ახლა ძნელი წარმოსადგენია ის ჯალათური და გინუკითხავი მოპყრობა, რომელსაც ქონდა ადგილი მაშინდელ სკოლებში. განსაკუთრებით აბუჩად იყო აგდებული ისეთი ღატაკი ოჯახის შვილები, რომელსაც ეკუთვნოდა ჩვენი ზაქროც. შემდეგ ზაქრო შეიყვანეს საკვირაო სამიჯნო სკოლაში, რომლის ატმოსფერაც მიუღებელი შეიქმნა მისთვის და რამდენიმე თვის შემდეგ ისიც მიატოვა. 13 წლიდან სასწავლებლებს ზაქრომ თავი სრულიად გაანება.

მაგრამ ამის და მიუხედავად ზაქარიას განვითარება უფრო ჩქარი და შეუჩერებელ ნაბიჯებით მიიწევდა წინ. უნდა ადინიშნოს, რომ ყმაწვილს თავი დანვე მეტად შეუყვარდა ქართული წიგნი და დამშეულივით ეწაფებოდა მას, თუ კი შეძლება ექნებოდა იგი შეეძინა. ეს შეძლება სწორეთ აკლდა პატარა ზაქროს და ამიტომაც იგი ხვა და სხვა სამსახურში შედის: ხან ხუროსთან მუშაობს, ხან კიდევ სასტუმროში მსახურებს, ხან კახეთში ვიხმე ტყის მცველს მიჰყვება ჩვენი ზაქრო, რომ ამით მას საშუალება მიეცეს მისთვის საყვარელი წიგნების შეძენისა.

განსაკუთრებით ეს სიყვარული ქართული ლიტერატურისა და ისტორიისადმი ზაქარიაში უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც რომ იგი დაუახლოვდა გამოჩენილ მოღვაწეებს. პირველად ასეთი სამსახური გაუწია მას სასტუმრო „ევროპამ“, სადაც იგი მსახურებდა და სადაც დაიარებოდნენ ისეთი საპატიო მოღვაწენი, როგორც იყო სერგეი მესხი, ნ. ნიკოლაძე, კოსტ. ყიფიანი, გ. წერეთელი და აგრეთვე სომხის ცნობილი მწერლები. ჩვენმა ქართველმა მწერლებმა ყურადღება მიაქციეს ზაქარიას ასეთს უსაზღვრო წყურვილს ქართული ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად და ამიტომ მას დახმარებას უწევდნენ.

ძალიან ხშირად ზაქარიას წიგნებს აძლევდა გ. წერეთელი კ. ლორთქიფანიძე და სერგეი მესხი. იგი სულ მოკლე დროში ისე დაწინაურდა, რომ 1870 წ. მან გაზ. „დროებაც“ კი გამოიწერა. ეს კი შეეძლო იმ ხანებში მხოლოდ ისეთ გატაცებულსა და მშობლიური ცხოვრებით დაინტერესებულს ყმაწვილს, როგორიც იყო ზაქარია.

როცა სერგეი მესხი შემთხვევით წაიწყდა ზაქარიას ქუჩაზე, გაზ. „დროების“ კითხვის დროს, მის სიხარულს და იმავე დროს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა: ვინმე სასტუმროს მსახურისაგან გაზ. „დროების“ გამოწერა და მით დაინტერესება მართლაც სერგეი მესხისათვის უჩვეულო სიურპრიზი იყო. ამ დღიდან ზაქარიას იგი განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას უწევს და ზაქარიაც წიგნის ფანატიკად იქცევა.

1872 წლიდან ზაქარიამ კახეთიდან დაუწყო წერილების მიწოდება გაზ. „დროებას“. მისი პირველი წერილი იყო „ყენობის“ აღწერა.

მალე იგი კახეთიდან ჩამოვიდა ტ „დროების“ რედაქციაში გაზეთის დამტარებლად დადგა; იმავე დროს წერილების მეშედგენაც განარგძობდა. 1873 წლიდან ზაქარიამ დაიწყო ძველი ხელთნაწერების შეკრება.

1875 წ. ზაქარია დაინტერესა ქართველ მაჰმადიანების ბედმა და მათი ისტორიის შესწავლასაც შეუდგა. ამას მოყვა მთელი რიგი საყურადღებო ნაშრომებისა, რომელმაც დიდი ღვაწლი გაუწია გადაგვარების გზაზე მდგარ მოძმეთა გამოფხიზლებას და თავის დედა საშობლოსთან დაბრუნებას. ამ წრფელი მამულიშვილური აღტაცებით გატაცებული იგი, 1889 წელს პირველად წიგნებით დატვირთული მიემგზავრება ქობულეთში, შემდეგ 1890 წელს იგი მიემგზავრება აჭარაში. და ასე თითქმის ყოველ წელს წიგნებით დატვირთული, მაგრამ მოძმეთა სიყვარულით გამთბარი ზაქარია არაჩვეულებრივ სამსახურს უწევს მაჰმადიან ქართველებს. ბათომის ოლქში მოგზაურობით, ქართველ მაჰმადიანებსაც შეუყვარდათ ზაქარია და თავისიანად მიაჩნიათ იგი დღესაც. ზაქარიამ დაბეჭდა სამაჰმადიანო საქართველოზე შემდეგი წიგნები: I ისტორია ყოფილ ოსმალეთის საქართველოსი, II ქართველების გამაჰმადიანება ანუ გათათრება III ქართ. მაჰმადიანების დიდი გადასახლება—ანუ მუჰაჯირე ემიგრაცია და სხვ. მრავალი, მარტო ბათომის გაზეთში დაიბეჭდა მისი ასი ფელეტონი ორი წლის განმავლობაში ქართველ მაჰმადიანების შესახებ.

1877 წლიდან ზაქარია გაეცნო ქართველ ებრაელთა ისტორიას და მათი ისტორიაც დაიბეჭდა. 1878 წელს დაიწყო შესწავლა ქართველ გრიგორიანთა ისტორიული მასალებისა და მთელი რიგი წერილებისა მათ შესახებ მოათავსა გაზ. „დროებაში“. ზაქარიამ ბევრი იმუშავა, ქართველ ქათოლიკეთა თვითგამორკვევისათვის. მანამდის კათოლიკობა და გრიგორიანობა სომხობათ იყო აღიარებული სომეხ შოვინისტების მიერ. იმ ბრძოლაში, რომელსაც ფაქტებით და ისტორიული საბუთებით აწარმოებდა ქართველი ინტელიგენცია ქათოლიკეებისა და გრიგორიანების გადაგვარებისაგან დაცვისათვის, ზაქ, ჭიჭინაძეს მიუძღვის განუსაზღვრელი შრომა და დამსახურება. ზაქარიას ეკუთვნის ბიოგრაფიები ბევრი გამოჩენილი ქართ. კათოლიკისა: მიხეილ თამარაშვილისა, პატრი ნიკოლასი, ლევან ზუბალაშვილის და სხვათა.

ზაქარიას აქვს დაწერილი მრავალი ისტორიული წერილები ლაზების შესახებაც, სადაც იგი აჭარაში მგზავრობის დროს, გადავიდა და გაეცნო მის ვითარებას. ზაქარიამ შესძლო შეეკრიბა მასალები დიუტერის სკულის გავლენაზე საქართველოში და კიდეც დასწერა: „ლიუტერის სკულის ქართველები საქართველოში“.

ზაქარია ცნობილია აგრეთვე, როგორც ბიოგრაფი. იგი ჰკრებდა მასალებს მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შესახებ და კიდეც დასწერა ბიოგრაფიები: ნ. ბერათაშვილისა, სოლ. დოდაშვილის, სოლ. ლეონიძის, გრ. ორბელიანის, აკაკის, ილიასი, დიმიტრი ყიფიანის და მრავალი.

ზაქარიამ მიაქცია აგრეთვე ყურადღება ქართულ მკურნალობის ისტორიას და დასწერა ქართული მკურნალობის ისტორია.

ზაქარიას აქვს ნაწარმოები აგრეთვე ქართველი ქალის უფლებრივი მდგომარეობისა და ზნეობრივი სიმტკიცის შესახებ ჩვენ წარსულს ისტორიაში.

ერთი სიტყვით მას არ გამოპარვია რომელიმე დარგი ჩვენი წარსული და მიმდინარე ცხოვრებისა, რომ არ შეესწავლოს იგი და სიყვარულით გამთბარი ნაწარმოებები არ მიეძღვნას თავის ოცნებისა საუკეთესო საგნისათვის—ქართველი ერისათვის.

ზაქარიამ დასწერა და გამოსცა საკუთარი 140 წიგნი, სულ ათი ტომი; სხვა და სხვა პირთა ნაწერები მას სამი ათას ცალამდის ექნება გამოცემული. მას აქვს მრავალი დაუბეჭდავი წერილებიც.

აქედან ცხადია, თუ როგორი ენერგიისა და ნების კაცი უნდა ყოფილიყო ჩვენი ძვირფასი ზაქარია ჭიჭინაძე. ვის შეეძლო, თუ არ ტანჯული და დატაკი ხალხის შვილს დაეტოვებია პირადი ბედნიერება და ერის სამსხვერპლოზე მიეტანა იგი სრულის სიმშვიდით. ზაქარიაც ხომ დარიბი რაჭველის შვილი იყო, მშრომელი ოჯახიდან, ამიტომაც მუშა ხალხის მოყვარული, მისთვის მზრუნავი, მისთვის ბევრი მწუხარების ამტანი. ზაქარია არ იყო მარტო კულტურის მსახური საზოგადოთ, ის იყო იდეური ადამიანიც იმავე დროს. სოციალისტურ მწერლებზე (სენსიმონი, ფურია, გერცენი, ლუიბლანი) იგი ლექციებსაც კითხულობდა მუშებში და შემდეგ ისინი მან კიდეც დაბეჭდა და მით მუშათა კლასის გათვითცნობიერებასაც დიდი ხელი შეუწყო.

ბედნიერია ხალხის ნამდვილი შვილი, რომელიც ცხადათ უყურებს თავისი ტანჯვითი შრომის ნაამაგარს; ბედნიერი ბძანდებით თქვენც საყვარელო ზაქარია, რომელსაც წილად გხვდათ ერის წინაშე დიდი ნაამაგარის შედეგის თვალით ხილვა. სათნოიან და მისთვის წამების ჯვრის მატარებელს ზაქარიას ჩაიკრავს დღეს გულში მშობელი ერი ისე, როგორც ძვირფასი ზაქარია იკრავდა მას ახალგაზრდობაში.

ეფ. ჩახ—ა.

ძია ზაქარია!

გულწრფელის სიყვარულით გილოცავთ დღევანდელ დღეს იმ დაუღალავ შრომისა და მოღვაწეობისათვის ქართველი ერის საკეთილდღეოდ და მის გათვითცნობიერებისათვის, რომელიც თქვენ დაიმსახურეთ ნახევარ საუკუნის განმავლობაში.

თქვენ კარგათ იცნობთ სტამბას, იცნობთ აგრეთვე ასოთ-ამწყობებს, მათთან ერთად უხვად გიყლაპნიათ მომშხამავი ტყვიის მტვერი, ბევრჯელ ასოთ-ამწყობებთან ერთად ყოფილხარ ცარიელი ჯიბით მშიერ-მწყურვალი, ხოლო ხანდახან მაძღარი მწვანილით და პურით, ხან კიდევ ხაშიც ყოფილა იარმუკისა, მაგრამ ჩვენო ზაქარია გული არ გაგიტეხნია და ყველაფერი აგიტანიათ იმ რწმენით, რომ თქვენ ემსახურებოდით დიად მიზანს, აწვდიდით გონებრივ საზრდოს საუკუნით ძველი რუსეთის თვითმპყრობელობისაგან უღელდადგმულ გადაგვარებულ მიძიხებულ ქართველ ერს.

განსაკუთრებით დიდი ამაგი და ღვაწლი მიგიძღვით მუშა-ხელოსნებისა და გლეხის შვილებს წინაშე, რომელთაც სკოლის კარები არც კი უნახავთ და მხოლოდ თქვენგან გამოცემულ წიგნებით აღზრდილან და შეუსწავლიათ სამშობლოს ავკარგი.

ისიც ვიცით ზაქარია, რომ ბევრჯელ გაუჯავრებიხარ ასოთ-ამწყობებს, მაგრამ თქვენგანაც ბევრჯელ ყოფილან გაჯავრებულნი, ალბად „ბლომად კაპიტალი“ რომ გქონიათ და არ მიგიციათ თავის დროზე, ხან კიდევ თქვენი „გარკვეული“ ხელნაწერი ვერ წაუკითხავთ, მაგრამ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომატები გვარწმუნებდენ, რომ ხალხთა მშვიდობიანობა ერთმანეთს შორის წინააღმდეგობანი და უთანხმოებანი არ არსებობს, ... ანტანტის მთლიანობა ურყევია და ...

...ბრამ საბჭოთა დელეგაციამ აღიმადლა, თუ არა ძლიერი მოწინააღმდეგის კონფერენციის მომწვევთა მადის შესაბამად, მაშინვე გაშიშვლდა ანტანტის ... მიმდინარეობათა წინააღმდეგობა.

საფრანგეთს არ სურდა კონფერენციის მოწვევა რუსეთთან ერთად, მან მოიგონა კონფერენციის ჩაშლა ისე, რომ ... ...

მოსავლეთის პოლიტიკურ მდგომარეობისა, რომელიც ბერლინში გამოქვეყნებული.

საერთაშორისო სოციალისტების კონგრესი.

ბერლინი 18 მაისი. საერთაშორისო სოციალისტურ პარტიათა კომიტეტი იტყობინება, რომ ბერლინის კონფერენციაზე არჩეული კომისია უნდა შეიკრიბოს ბერლინში 23 მაისს, რათა შეამზადოს საკითხები საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევისა.

საფრანგეთი უკან იხევს.

პარიზი, 18 მაისი. გაზეთი „ტანი“-ი ეხება რა საფრანგეთის უარს ჰაგის კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ, აღნიშნავს, რომ მანამდის, სანამ საფრანგეთი ფიქრობდა, რომ ჰაგის კომისიის მუშაობას ექნებოდა მხოლოდ ტექნიკური ხასიათი, ბოლშევიკებთან კონტაქტის გარეშე, იგი მოითხოვდა ამერიკას მიეღო მონაწილეობა ჰაგის კომისიის მუშაობაში. ახლა კი, როდესაც გამოირკვა, რომ ჰაგის მოლაპარაკების უმთავრეს და პოლიტიკური ხასიათი ექნება და ფაქტიურად იგი გენუის მოლაპარაკების გაგრძელებას გამოხატავს, საფრანგეთი სავსებით იწონებს ამერიკის პოზიციას.

ბორდო, 18 მაისი. გაზეთი „ტანი“ იტყობინება: თეთრი სასახლიდან გამომდინარე ცნობების მიხედვით, უკანასკნელი ნოტა ევროპეელ შტატებისა ჰაგის შესახებ, მაინც შეიცავს შესაძლებლობას მოლაპარაკების განგრძობის, თუ სასაკვირველია, ზოგიერთი პირობები აუცილებლად იქნება დაცული.

მუშათა გამარჯვება.

ბერლინი. ამერიკულ გაზეთების ცნობით, შეკერილ ტანსაცმელის დამზადებელ მუშათა გაფიცვა, რომელიც გრძელდებოდა 10 კვირის განმავლობაში, დამთავრდა მუშათა გამარჯვებით. ამ მუშათა პროფესიონალურ კავშირებს უმთავრესად თავმოყრილია რუსეთიდან წასული ემიგრანტები და მის შემადგენლობაში შედის 70.000 მდე მუშა. გაფიცვა გაგრძელდა იმ გარემოებამ, რომ მწარმოებლებმა მოინდომეს გაეუმჯობესებინათ მუშათა მინაპოვარი კავშირის უფლებები და სამუშაო ხელფასის სფეროში. ეს გაფიცვა დაუჯდა პროფკავშირს ერთი მილიონი დოლარი, ხოლო მწარმოებლებს კი 5 მილიონი დოლარი, ამერიკულ ბუნებამ დიდის ზეიმით გადიხადეს ეს გამარჯვება და აღნიშნეს იგი ბთელი რიგი მიტინგების გამართვით. ამ მიტინგებზე აღნიშნული იყო, რომ ეს უკანასკნელი გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკის მუშათა ყველა გამოსვლები მარცხით თავდებოდა ხოლმე. ამ შემთხვევაში ბუნება—ეს ეთის ეკონომიკა.

ჩვენს ამერიკის მუშებს მაგალითი მოთხინისა, და თავდაჭერილობისა და დარეზმულობისა.

ახალი ამბები

— **საბურთალო.** ტფილისის აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა ამხ. ლადო დუმბაძის მეთაურობით და სპეციალისტების კომისიამ დათვალიერა საბურთალოს ამოსაშრობად წარმოებული მუშაობა. ყველა ამოშრობილი ადგილები სივრცით 300 დესიატინამდეა. ეს მოედანი ქალაქის აღ. კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასცა კომუნალურ მეურნეობის ქვე განყოფილებას, რომელზედაც მიწის განყოფილებას აზრათა აქვს მოედნის ერთი ნაწილი გადასდვას ბოსტნისათვის და მეორე ნაწილი თივის სათესად.

— **ვერის პარკი.** ქალაქის კომუნალურ მეურნეობის მიწის განყოფილებამ გადასცა ვერის პარკი გიმნაზიის საზოგადოებას „შევაოდეს“, რომელმაც თავს იდვა ძიწის განყოფილების კანტროლის ქვეშ თვალყური ადევნოს პარკს და დაიცვას ხაძყენები. ამასთანავე ფიქრობს პარკის რაიონში მტკვარზე მოაწყოს თავის საჭიროებისათვის საბანაო და ამ საქმისათვის ისარგებლოს არსებული აუზით.

— **გადამდებ სნეულებათა მოძრაობა** 1 მაისს ქალაქის საავადმყოფოში 149 ავადმყოფი იყო გადამდები სენით ავად გაძღარი. 1 მაისიდან—8 მაისამდე საავადმყოფოში შეესვიდა 63 ავადმყოფი. გადამდებ სენით ავადმყოფებთა რიცხვში ქალაქის საავადმყოფოში 1 მაისიდან იყო პარტახტიანი ტიფით ავად 149 კაცში—114. ყვავილით—12. ხოლერით—2. 8 მაისს ქალაქის საავადმყოფოში იყო: 111 კაცი პარტახტიანი ტიფით ავადმყოფი, ყვავილით—13 და ხოლერით 11.

— **მოსავლის ვაჭრობა.** 18 მაის შესდგა ხეხილის მოსავლის ვაჭრობა: ბალის, ალუბლის, ქლიავის და სხვა (1000 ხემდე) ორთაჭალის მამულში (ყოფ. ბანთაშევისა) მოსავალი კომ. მეურნეობის მიწის განყოფილებამ დაუნარჩუნა ხილით მოვაჭრე სოლომონ ჯანგანიშვილს და მ. სარკოტიანცს, რომლებმაც მიაწოდეს უმაღლესი ფასი 150 მილიონი მანეთი.

— **ცეცხლის მქრობელი საქმე.** სახალხო შინაგან საქმეთა კომისარიატის ცეცხლის ქვე-განყოფილებამ შეადგინა სმეტა ხარჯებისა რესპუბლიკაში ცეცხლის მქრობელ რაზმის ძოსაწყობათ, რომელიც ნაანგარიშებია 3 მილიარდ მანეთამდე (20,000 მან. ოქროთი). ამ ხარჯებში შედის ცეცხლის საქრობი მანქანების შეძენა და სხვა საჭირო ინსტრუმენტები. დასარიგებლათ ცეცხლის ინვენტარისა რესპუბლიკის ყველა მოსახლეპუნქტებში, რომელთა აღმას. კომიტეტები ვალდებული ხდება განსაზღვრულ ვადაში ხაზინას დაუბრუნონ მიღებული ინვენტარის საფასური.

— **ცნობები ბოროტმოქმედებათა შესახებ.** სახალხო შინაგან საქმეთა კომისარიატმა ყველა მაზრის აღმას. კომიტეტებს ცირკულიარული წინადადება მისცა, რომ გადაუხვეველად ეცნობოს შინაგან საქმეთა კომისარიატს ნამდვილი ცნობები შესახებ ბოროტ-მოქმედების მიმდინარეობისა.

— **მოსავალი ქალაქის მიწებზე.** ხილის, ბოსტნეულობის მოსავალს ქალაქის მიწებზე საერთო კარგი პირი უჩანს. ახლოდან ლიდუბის, ვერის და საბურთალოს ბაღებში ხილის მოსავალი 10%-20%-მდე სეტყვამ დააზიანა. ავრეთვე დიდი ქარებისაგან დაზარალდა ავლაბრისა და კუკიის ქალაქის აგარაკისა, მაგრამ თუ წვიმები იქნება მათი გამობრუნება შესაძლებელია.

— **ქურდობა.** დიდი ვანქის ქუჩის № 4. სასადილოში, სასადილოს პატრონმა კაჭკაჭიშვილმა შეამჩნია რომ მას სალარადონ ეკარგება ფული და ღვინოც. სულ 30 მილიონამდე. მილიციის აგენტების მიერ აღმოჩენილი იქმნა ქურდი იმავე სასადილოს მოსამსახურე მუჩაიშვილი, რომელიც დაიჭირეს და გადასცეს 4 რაიონის სახალხო სასამართლოს.

— **ბინა ხაქმის გაუგებრობა.** სახალხო ბეპატრონე კრიჩევსკიმ მილიციას განუცხადა, რომ ვინმე ლეონიდოვმა მისდა უკითხავად ხდურებიდან აკრიფა იენის ფული, დოლარით გადმოართვა მას ხათი და ფუნტებით და ხათით ერთად გაპარა. სისხლის სამართლის აგენტების მიერ აღმოჩენილი იქმნა ლეონიდოვი, რომელმაც თავის დანაშაულში გამოუყდა და გადასცა მათ ხათი და 3 მილიონი ფული აკრეფილი ბინის ფასად. საქმე გადაეცა სახალხო სასამართლოს.

— **ხიზუმი.** აფხაზეთის სოც. საბჭოს ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო საშინაო საქმეთა კომისარიატი ტელეგრამით აუწყებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს, რომ აფხაზეთში შემოსვლა ხოლერის აუცილებლად გამოუკლებლივ ყველასათვის აკრძალულია.

სამხატვრო ქრონიკა

— **დიდი ხალამო ნაძალადევში,** დღეს, მაისის 21. ნაძალადევის მუშათა კლუბში გაიმართება დიდი სალამო რომელშიაც მიწვეულნი არიან: მსახიობნი ვასო ანაშიჩე, ნიკო გოლიაძე. მოქალაქენი ი. სარაჯიშვილი, ია ბაშვილი, და პოეტი ი. გრიშაშვილი.

გრიშაშვილის სალამო. პოეტი გრიშაშვილი თავის ტრადიციულ სალამოს გამართავს მაისის ბოლო რიცხვებში.

ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეი. კვირას 21 მაისის დილის 12 საათზე სახელმწიფო საოპერო თეატრის დარბაზში სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით გაიმართება, ზ. **ჭიჭინაძის** 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. იმ დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ სიტყვით მიმართონ იუბილიარს, წინასწარ უნდა ჩაეწერონ შაბათს (ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13) დილის 11—12 საათამდე და კვირას საოპერო თეატრში 10 საათიდან 12 საათამდე.

პარტიაში

კვირას, 21 მაისს, საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის ახალგაზრდათა კავშირის საბოლოო სხდომა.

კავშირის წევრებს ვთხოვთ აუცილებლივ დაესწრონ.

პრეზიდიუმი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 5

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

იძულებითი სამუშაოს მოწყობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს იძულებითი სამუშაოს მოწყობა იმ პირთათვის, ვისაც მისჯილი აქვს იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილას დაუბწყვდევლად.

2. იძულებითი სამუშაოს მოწყობისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილას დაუბწყვდევლად, დაარსდეს ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრისათვის ტფილისში—ცენტრალურ დასჯა-გასწორების განყოფილებასთან, ხოლო ადგილობრივ—იუსტიციის სამაზრო განყოფილებებთან „იძულებითი სამუშაოს ბიუროები“, შემდეგი შედგენილობით: ბიუროს ორი წევრი, რომელთა შორის ერთი ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან მმართველობის წარმომადგენელია, ხოლო მეორე შრომის ადგილობრივი განყოფილებისა; ორივე წევრი შედის ბიუროში დანიშვნით სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და შრომის განყოფილების მიერ; ქალაქ ტფილისისა და ტფილისის მაზრის ბიუროს თავმჯდომარედ არის ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილების გამგის თანაშემწე, სამუშაოთა ნაწილისათვის, ხოლო დანარჩენ ადგილებში—სამაზრო იუსტიციის განყოფილების გამგე.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, უკეთუ ადგილობრივ შრომის განყოფილების წარმომადგენელი არ იმყოფება, ბიუროს მეორე წევრსაც აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს.

3. იძულებითი სამუშაოს ბიუროს მოვალეობას შეადგენს: თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი მუშაობა-მისჯილთა აღნუსხვა და რეგისტრაცია, მათი განაწილება და სამუშაოზე გაგზავნა, იძულებითი სამუშაოს მოწყობის გამგებლობა და მისი ორგანიზაცია, კონტროლი და უშუალო მეთვალყურეობა მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის.

შენიშვნა: განაჩენისა თუ დადგენილების ასლი თავისუფლების აღუკვეთელად იძულებითი მუშაობა-მისჯილთურთ, განაჩენის გამომტან ორგანოს მიერ უნდა გაიგზავნოს უშუალოდ ბიუროში საჭირო ცნობებით იმის შესახებ, თუ რისთვის, რა ვადით და რა გვარი სამუშაო მიესაჯა მსჯავრდადებულს.

შენიშვნა: თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი მუშაობა-მისჯილთა განაწილება და სამუშაოზე დანიშვნა არ შეიძლება თვითნიერ იძულებითი სამუშაოს ბიუროსი.

4. იძულებითი სამუშაოს ბიუროს თავის ფუნქციებს ადგილობრივ ანხორციელებს უშუალოდ ხოლო მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის კონტროლისა და უშუალო მეთვალყურეობის ფუნქცია შეუძლიან განახორციელოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობითა.

შენიშვნა: მეთვალყურეობა—განაჩენის სისწორით აღსრულებისათვის შეადგენს სახალხო მოსამართლის მოვალეობასაც.

5. მუშაობის განვითარების მიხედვით, იძულებითი სამუშაოს ბიუროს, ცენტრალური დასჯა-გასწორების განყოფილების ნებართვით, დანიშნავს უფროს და უმცროს ათისთავების საჭირო რიცხვსა.

6. იძულებითი სამუშაო შეიცავს შემდეგ კატეგორიას:

ა) მძიმე სამუშაო: მძიმე ტვირთის ზიდვა, შეშის ჭრა და ხერხვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა და ხელით შესასრულებელი სხვა მძიმე სამუშაო;

ბ) უფრო იოლი ფიზიკური შრომა: დალაგება და გასუფთავება სადგომებისა და ქუჩებისა, პაკეტების დატარება და სხვა;

გ) მუშაობა საბჭოთა და საწარმოო დაწესებულებაში სპეციალობის მიხედვით.

7. შრომის გასამრჯელო იძულებითი მუშაობა-მისჯილს ეძლევა სათანადო პროფესიონალური კავშირის განაკვეთის მიხედვით; გასამრჯელოდ მისაცემი ფულიდან დაჭერილ უნდა იქნეს 15%-ი „იძულებითი სამუშაოს ბიუროს“ საორგანიზაციო ხარჯებისათვის.

8. იძულებითი მუშაობა-მისჯილს და სამუშაოს მოსახდელად, გაგზავნილს პასპორტისა ან მისი სამაგიერო დოკუმენტის ნაცვლად, ეძლევა დროებითი სამუშაო წიგნაკი, რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ ბიუროს უნდა დაუბრუნდეს.

9. სასჯელის მოხდის ვადა იწყება მსჯავრდადებულის ბიუროში მიყვანის დღიდან, სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაითვალოს:

ა) ის დღეები, როდესაც მსჯავრდადებულს ფაქტიური მონაწილეობა მიუღია მუშაობაში;

ბ) ის დღეები, როდესაც მსჯავრდადებულს არ შეეძლო იძულებითი სამუშაოში ფაქტიური მონაწილეობის მიღება ბიუროს მიერ სამუშაოს მიუცემლობის გამო და

გ) ის დღეები როდესაც მსჯავრდადებული ბიუროში გამოცხადდება სარეგისტრაციოდ და შესამოწმებლად.

10. იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც სამუშაო დღეებს გააცდენს ან მუშაობას სრულიად თავს აარიდებს, შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

ა) მსჯავრდადებულის მიზეზით გაცდენილი თვითეული დღისათვის იძულებითი მუშაობის ვადა გადიდებულ უნდა იქნეს სამ დღემდე;

ბ) უკეთუ დღეების გაცდენა გამეორდა, ბიუროს უფლება ეძლევა დამნაშავე დისციპლინარული წესით დააპატიმროს ამისათვის მიჩენილ ადგილას—1-დან 10 დღემდე, და

გ) ბიუროს შეუძლიან მუშაობაში ზარმაცსა და უმუყაითოს დაუჭიროს ხელფასიდან გაცდენილი საათების ფული, დაჭერილი თანხა უნდა გადაირიცხოს ხაზინის შემოსავალში.

11. უკეთუ მსჯავრდადებული დაჟინებით თავს აარიდებს მუშაობას, ბიუროს ამის შესახებ აუწყებს სათანადო, ან სამუშაოს მოსახდელ ადგილის უახლოეს სახალხო სასამართლოს, რომელიც გაარჩევს რა საქმეს—შეუძლიან დაადგინოს, რომ მსჯავრდადებული გაგზავნილი იქნეს საპატიმროში სასჯელის დარჩენილ ვადის, ან ამ ვადის ნაწილის მოსახდელად.

12. ბიუროს შეუძლიან სასჯელის ნახევარი ვადის გასვლისას, აღძრას შუამდგომლობა განაჩენის გამომტან დაწესებულების წინაშე, მუყაითად და კეთილსინდისიერად მომუშავე მსჯავრდადებულის სასჯელის ვადის გასვლამდე განთავისუფლების შესახებ.

13. თავისუფლების აღუკვეთლად იძულებითი მუშაობა-მისჯილი შრომის დაცვის მხრივ სარგებლობს ლა უფლებას.

14. მსჯავრდადებული ვალდებულია ბიუროს მიერ ... ებში, თვეში ... ხადღეს სარეგისტრაციოდ; ამასთან ... ვე, ყველა დაწესებულება, რომელ... სარგებლობს სასჯელის მომხდელ... შრომით, ვალდებულია ყოველთვ... რად არა უგვიანეს 15-ს რიცხვ... გაუგზავნოს ბიუროს იმ პირთა ს... რომელნიც აღნიშნულ დაწესებულ... ბაში იხდიან იძულებითი მუშაობ... და აგრეთვე ცნობები იმ მსჯ... დადებულთა შესახებ, ვინც ... კეთილსინდისიერად ასრულებს ... ვის მოვალეობას. ყოველი ... შემთხვევა, ბიუროს მიერ შემო... ბული, შეტანილ უნდა ... ესჯავრდადებულის სამუშაო წიგნ... ში.

შენიშვნა: უკეთუ რომელიმე ... წესებულება არ შეას... ლებს მე-14 მუხლში ... ნიშნულ მოვალეობას, ... ურო ამის შესახებ აცნ... ბებს უმაღლეს სათან... დაწესებულებას განკარ... ლებისათვის.

15. უკეთუ მსჯავრდადებული ... სჯელს მუდმივი საცხოვრებელი ... გილის გარეშე იხდის და იქ ... ოჯახი, ქონება თუ სამსახური, ... დაც მის მაგიერობას ვერავინ ... წევს, იგი შეიძლება მივლენ... იქნეს სასჯელის მოსახდელად ... საცხოვრებელი ადგილის ბიუ... განკარგულებაში.

16. განაჩენის გამომტანი დაწ... ბულების ნებართვით, ბიუროს შ... ლიან იძულებითი მუშაობის ... დროებით გაანთავისუფლოს:

ა) სასჯელის მომხდელი ... მყოფი, ადგილობრივი მეთვალყ... ექიმისა, ან ჯანმრთელობის ... ლობრივი განყოფილების მიერ ... საზღვრულ ვადით, და

ბ) ფეხმძიმენი, არსებული დ... ლების თანახმად.

17. ნამდვილ სამსახურში ... წევი პირი, როგორც გასა... წლოვანობას მიღწეული, ისე ... ხედრო ბეგარა-მოხდილი—სამხედ... ვალდებული, სათანადო სამხედ... კომისართან შეთანხმებით უნდა ... თავისუფლდეს იძულებითი მუშაო... საგან სამხედრო ნაწილში გასაგ... ნად.

18. ზოგადი, პრინციპიალური ... სიათის საკითხებს, რომელსაც ... შირი ექნება იძულებითი სამუშ... მოწყობასა და წარმოებასთან, გ... სწყვეტს იუსტიციის სახალხო კ... სარიატის ცენტრალური დასჯა-გ... წორების განყოფილება.

19. ცენტრალურ დასჯა-გასწო... ბის განყოფილებას ევალება აგრ... ვე საერთო მეთვალყურეობა იძულ... ბითი სამუშაოს ბიუროს მიერ ... ლებითი სამუშაოების შესახებ გ... ცემული დეკრეტებისა და განკარ... ლებათა სისწორით აღსრულებისა... ვის და ინსტრუქციების გამოც... აღნიშნულ სამუშაოთა ორგანიზ... ისა და წარმოებისათვის.

20. გაუქმებულ იქნეს საქართ... ლოს რესპუბლიკაში ამ ჟამად არ... ბული ყველა საკონცენტრაციო ... ნაკი.

საქართველოს სოც. საბჭ. რეს... ბლიკის სახალხო კომისართა საბ... თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

იუსტიციის სახალხო კომისა... მოადგილე **ბროდსკი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მ... ვანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. მაისის 17.

ტფილისი-სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგი...
გამომცემელი— მთავარი კომიტ...

დავკარგე პირადობის მოწ... ბა, მოცემული ... სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკ... მიურ დარგიდან. ჩაითვალოს გაუქმ... ლად.
გრიგოლ ვიკენტის ძე ქუთათელაძე.